2014

პროფესიული უნარების ტესტი

ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება, განვითარებისა და სწავლის თეორიები, პროფესიული გარემო.

ტესტში ოთხი ტიპის დავალებაა:

(1) **არჩევითპასუხიანი დავალება** ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან ***სწორია მხოლოდ ერთი.*** დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) **შესაბამისობის დავალება,** რომელიც ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) **დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“,** რომლებიც თქვენგან მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას მოითხოვს. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) **ღიადაბოლოებიანი დავალებები,** რომლებიც თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნავთ პასუხს, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება 0 ქულით შეფასდება.



ღიადაბოლოებიანი დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი; ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

<u>**პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ**</u>.

დავალება №1

როგორც ცნობილია, მოტივაცია მნიშვნელოვნად იცვლება მოსწავლის ასაკის მატებისა თუ მასზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით. კვლევებით დადასტურებულია, რომ მოტივაცია უფრო მდგრადია, თუ ის ეყრდნობა უფრო მეტად შინაგან, ვიდრე გარეგან მოტივებს.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორის/ფაქტორების ზეგავლენით არის შესაძლებელი სწავლის ***შინაგანი მოტივაციის*** შენარჩუნება?

I. **შესასრულებელი სამუშაოსადმი ინტერესი** – ეხება თუ არა შესასრულებელი დავალება მოსწავლის ინტერესების სფეროს.
II. **წარმატების მიღწევის სტიმული** – თუნდაც უმნიშვნელო პროგრესის აღნიშვნა და მოსწავლის წახალისება.
III. **ცოდნის შეძენის მნიშვნელობა** – რამდენად ღირებულია მოსწავლისათვის სწავლის შედეგად მიღებული ცოდნა.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება №2

საგაკვეთილო დროის ოპტიმალურად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე შეუქმნას კლასს სამუშაო განწყობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობაა ***ყველაზე ეფექტიანი*** იმისათვის, რომ მასწავლებელმა ***მოსწავლეები გაკვეთილზე დროულად განაწყოს სამუშაოდ***?

ა) მასწავლებელი ელოდება ყველა მოსწავლის შემოსვლას კლასში და შემდგომ კითხულობს სიას.
ბ) მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, მოწესრიგდნენ და მაშინვე იწყებს ახალი მასალის ახსნას.
გ) მასწავლებელი ითხოვს ყურადღებას და რომელიმე მოსწავლეს იძახებს დაფასთან გაკვეთილის მოსაყოლად.
დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიკავონ ადგილები და ჩამოთვალონ, რა გაუჭირდათ საშინაო დავალების შესრულებისას.

დავალება №3

ცნობილია, რომ ინკლუზიური განათლება დადებით შედეგებს იძლევა როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ისე კლასის დანარჩენი მოსწავლეებისათვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა/მსჯელობები ასახავს ინკლუზიური განათლების დადებით შედეგს ***სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის?***

I. გარშემომყოფთა თანაგრძნობის შედეგად მოსწავლე თავს აღიქვამს გამორჩეულ ადამიანად.
II. მოსწავლე სწავლობს თავისი ასაკისთვის სოციალურად შესაფერის ქცევას რეალურ სასკოლო სიტუაციაში.
III. მოსწავლეს უჩნდება შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, უმაღლდება თვითშეფასება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება №4

მეტაკოგნიცია გულისხმობს მოსწავლის მიერ:

ა) საკუთარი შეცდომების დანახვასა და გაანალიზებას.
ბ) საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და მიღებული შეფასებების კონტროლს.
გ) საკუთარი პიროვნული თვისებების შეცნობასა და გაანალიზებას.
დ) საკუთარი სააზროვნო პროცესებისა და სწავლის შესახებ წარმოდგენის შექმნას.

დავალება №5

ლიტერატურის მასწავლებელმა მოსწავლეებს შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით თემის დაწერა დაავალა. ქეთიმ დავალება დიდი პასუხისმგებლობით შეასრულა და მაღალ ქულას ელოდა. მისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თხზულების მოცულობისა და ციტატების სიმცირის გამო ქულა დააკლდა.

შეფასების რომელი პრინციპის უგულებელყოფა ჩანს ცხადად აღწერილ სიტუაციაში?

ა) სანდოობა
ბ) ვალიდობა
გ) ობიექტურობა
დ) გამჭვირვალობა

დავალება №6

კვლევებით დადასტურებულია, რომ არასაკმარისად განვითარებული სოციალური უნარები მოზარდებში დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი შეიძლება გახდეს. მასწავლებელი განსაკუთრებულ სიფრთხილეს უნდა იჩენდეს იმ ქმედებების შერჩევის დროს, რომელთა გამოყენებითაც გეგმავს მოსწავლეებისთვის სოციალური უნარების განვითარებას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედებაა ***ნაკლებად ადეკვატური*** მოსწავლის სოციალური უნარების განვითარების ხელშესაწყობად?

ა) მასწავლებელი სიტყვიერად განუმარტავს მოსწავლეს, თუ რა არ უნდა გააკეთოს მან თანატოლებთან ურთიერთობისას.
ბ) მოსწავლეების გამოკითხვის საფუძველზე მასწავლებელი არკვევს კლასში მოსწავლის იზოლაციის მიზეზს და ამის გათვალისწინებით უწყობს ხელს ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
გ) მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს მისთვის ჩვეულ გარემოში, ინიშნავს მის ქცევებს და უხსნის, როგორ გამოასწოროს.
დ) მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ურთიერთობის აგებაზე მიმართულ იმიტირებულ სიტუაციებში მონაწილეობას, რის შემდეგაც ისინი ისაუბრებენ საკუთარ ემოციებზე, დაკვირვებებზე.

დავალება №7

დაჩქარებული წესით სწავლების მეთოდი ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების უზრუნველსაყოფად.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორის/ფაქტორების გათვალისწინებაა ***აუცილებელი*** სასწავლო პროგრამის დაჩქარებული წესით სწავლების გადაწყვეტილების მიღების დროს?

I. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლის სოციალურ-ემოციური მზადყოფნა.
II. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლის ასაკი.
III. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება №8

დიალოგის სწორად წარმართვით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიუმჯობესონ კომუნიკაციური უნარები, ისწავლონ კითხვების დასმა, მოსმენა.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან ***დიალოგის წარმართვის*** დროს გამოყენებული რომელი სტრატეგია **არ** არის მართებული?

ა) მასწავლებელი არკვევს, რა უდევს საფუძვლად მოსწავლის ზოგჯერ არასწორ, მაგრამ განსხვავებულ მოსაზრებას.
ბ) მიუხედავად მოსწავლის მცდარი, განსხვავებული მოსაზრებისა, მასწავლებელი გულისყურით უსმენს მას.
გ) მასწავლებელი იცავს საკუთარ პოზიციას და ეხმარება მოსწავლეებს მცდარი მოსაზრების შეცვლაში.
დ) სიტუაციის შესწავლის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს წარმოდგენილ ფაქტებს.

დავალება №9

სასწავლო პროცესში აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

I. მასალის ერთდროულად – როგორც ვიზუალურად, ისევე აკუსტიკურად – მიწოდება ხელს უწყობს ინფორმაციის ხანგრძლივად დამახსოვრებას.
II. აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენების დროს მოსწავლეთა ყურადღება შესასწავლი საკითხიდან გადაერთვება გარეგან ეფექტებზე.
III. აუდიო-ვიზუალური მასალა ამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს და იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება №10

ჩამოთვლილთაგან პედაგოგის რომელი შეკითხვა შეესაბამება ***სოკრატულ მეთოდს?***

ა) „რას მოიმოქმედებდა ნაწარმოების გმირი საპირისპირო სიტუაციაში?“
ბ) „სად იყო ნაწარმოების გმირი განვითარებული მოვლენების დროს?“
გ) „როგორ დააღწია თავი ნაწარმოების გმირმა არსებულ საფრთხეს?“
დ) „როგორ გაამართლა ნაწარმოების გმირმა თავისი საქციელი?“

დავალება №11

პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სასწავლო გარემოში ბავშვის სრულფასოვან ფუნქციობას, აკადემიური ჩვევების ათვისებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზებას, მრავალფეროვანია და ხშირ შემთხვევაში – არათვალსაჩინო. მნიშვნელოვანია, პედაგოგმა, ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფასების ფონზე, დროულად ამოიცნოს მოსწავლის არათვალსაჩინო პრობლემური ნიშანი და მის დასაძლევად გამოიყენოს შესატყვისი მიდგომა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშანი მიუთითებს მოსწავლის ***ჰიპერაქტიურობაზე?***

ა) თავს არიდებს ბავშვებთან ურთიერთობას.
ბ) შფოთავს, ბევრს მოძრაობს უმიზეზოდ.
გ) ხშირად იტკიებს თავს, მალე იღლება.
დ) მეტყველებს სწრაფად და გაუგებრად.

დავალება №12

შინაგანად მოტივირებული მოსწავლეების შესახებ გამოთქმული მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა) შინაგანად მოტივირებული მოსწავლეები უფრო მტკივნეულად განიცდიან მარცხს, ვიდრე გარეგანი მოტივაციის მქონენი.
ბ) შინაგანად მოტივირებული მოსწავლეების მიზანია ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება.
გ) შინაგანად მოტივირებული მოსწავლეები უფრო გამბედავები და თავდაჯერებულები არიან, ვიდრე გარეგანი მოტივაციის მქონენი.
დ) შინაგანად მოტივირებული მოსწავლეები უფრო მეტად ცდილობენ, ზედმიწევნით შეასრულონ მოთხოვნები და გაამართლონ მასწავლებლის მოლოდინი.

დავალება №13

ნინო გაკვეთილზე ცელქობს, ესაუბრება თანაკლასელებს და ხელს უშლის მათ მუშაობაში. მასწავლებელს ნინო დაფასთან გაჰყავს, აძლევს მას დავალებას, შეფასებისას კი მოუსვენარი საქციელის გამო ნიშანს აკლებს.

შეფასების პრინციპების თანახმად, მასწავლებლის ქმედება:

ა) **ადეკვატურია.** მოსწავლეთა ყოფაქცევა მჭიდრო კავშირშია აკადემიურ მოსწრებასთან, შესაბამისად, ის შეფასებაშიც უნდა აისახებოდეს.

ბ) **არ არის ადეკვატური.** მოსწავლის ქცევა არ უნდა გახდეს ნიშნის განმსაზღვრელი, ნიშანი მხოლოდ მის აკადემიურ მიღწევებს უნდა ასახავდეს.

გ) **ადეკვატურია.** ჩვეულებრივ, ნიშნის დაკლება მოსწავლის არასასურველი ქცევის პრევენციის ეფექტიანი საშუალებაა.

დ) **არ არის ადეკვატური.** ცელქობა არ შედის დისციპლინის იმ უხეშ დარღვევათა რიცხვში, რომლის გამოც მოსწავლეს შეფასებისას ნიშანი უნდა დააკლდეს.

დავალება №14

მიზნების დასახვა ეხმარება მოსწავლეს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სასწავლო მიზნების ჩამოყალიბების დროს გარკვეული პრინციპები დაიცვას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპის/პრინციპების გათვალისწინებაა *აუცილებელი* მიზნების ფორმულირების დროს?

I. **მიზნები უნდა ყალიბდებოდეს კოლეგებთან თანამშრომლობის საფუძველზე** – საგნობრივი ან რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული მასწავლებელთა ჯგუფი ერთობლივად უნდა გეგმავდეს სასწავლო პროცესს.

II. **მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს არა მასწავლებლის, არამედ მოსწავლის პერსპექტივიდან** – მასში უნდა იყოს ასახული მოსწავლეების ცოდნაში კონკრეტული პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.

III. **ჩამოყალიბებული მიზნები უნდა იყოს გეგმის ათვლის წერტილი** – საბოლოო მიზნის ფორმულირების შემდეგ „უკუსვლით“, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ყალიბდებოდეს ამ მიზნის მიღწევის გეგმა/სტრატეგია.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №15

ცნობილია, რომ საკუთარი თავისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ხელს უწყობს მოსწავლის სწავლის ეფექტიანობას.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეს საკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში?

ა) მოსწავლეები დააჯგუფოს უნარების მიხედვით და სამუშაოდ მისცეს ერთი და იგივე დავალება.
ბ) დავალების შერჩევისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.
გ) დააწესოს სტანდარტი, რომელსაც მოსწავლეები საკუთარ მიღწევებსა და შედეგებს შეადარებენ.
დ) მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა, წყვილებში შეაფასონ ერთმანეთი ან კლასში ერთობლივად განიხილონ თანაკლასელების შედეგები.

დავალება №16

ჩამოთვლილთაგან ***ყველაზე მეტად*** რომელი დავალება/დავალებები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას?

I. დავალება, რომელიც არის კარგად ნაცნობი და საფუძვლიანად გაანალიზებული, რათა მოსწავლე თამამად და თავდაჯერებით შეუდგეს მის შესრულებას.
II. ისეთი სირთულის დავალება, რომ ერთგვარი გამოწვევა იყოს მოსწავლისათვის, მაგრამ გარკვეული ძალისხმევით დამოუკიდებლად შეძლოს თავის გართმევა.
III. საკმარისად რთული და ერთი შეხედვით დაუძლევადი დავალება, რომ მოსწავლეს დასჭირდეს ძალთა მაქსიმალური მობილიზება.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება №17

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებისთვის კრიტიკული აზროვნების განვითარება.
აქტივობა: ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო ორი სამეცნიერო სტატია გენური ინჟინერიის სფეროდან, რომლებშიც გამოტანილი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტები ადამიანის ჯანმრთელობაზე. მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს, გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებების მიმართ და ევარაუდათ, როგორი იქნებოდა ამ სამეცნიერო მიღწევის შეფასება 50 წლის შემდეგ, ეკამათათ და მოეყვანათ შესაბამისი არგუმენტები.

მასწავლებლის აქტივობა დასახული მიზნის:

ა) **ადეკვატურია**. განსხვავებული მოსაზრებების გაცნობა ეხმარება მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ცოდნას სუბიექტური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. მოვლენის სხვადასხვა ჭრილში განხილვა კი ხელს უწყობს საპირისპირო მოსაზრებების გაანალიზებას, მათდამი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.
ბ) **არ არის ადეკვატური**. კრიტიკული აზროვნება ვითარდება მაშინ, როდესაც მოსწავლე აკვირდება საკუთარი აზროვნების პროცესს, დამოუკიდებლად მუშაობს, და არა ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობის დროს.
გ) **ადეკვატურია**. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, მოსწავლეებს მიაწოდოს თემასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები, ეს საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ მოვლენათა მრავალი კუთხით გაანალიზება.
დ) **არ არის ადეკვატური**. არსებობს ობიექტური სიმართლე, რომლის შესახებ ცოდნა ზოგჯერ მეცნიერებსაც არ აქვთ. ამგვარი მოვლენის შესახებ განსხვავებული მოსაზრებების გაცნობისა და მათზე მსჯელობის შედეგად მოსწავლე აცნობიერებს მხოლოდ იმას, რომ მეცნიერება უძლურია, ჩასწვდეს ზოგიერთი მოვლენის არსს.

დავალება №18

განასხვავებენ მასალის მიწოდების რამდენიმე ხერხს/მიდგომას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, გაკვეთილის ახსნის პროცესი უფრო მკაფიო გახდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასალის მიწოდების ***ინდუქციური*** მიდგომა?

ა) მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს და შემდეგ განაზოგადებს მათ.
ბ) მასწავლებელი თემას ხსნის ზოგადად და ამის შემდეგ კი საკითხს შემადგენელ ნაწილებად ყოფს.
გ) მასწავლებელი მასალის ნაწილებს ისე წარმოადგენს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათი ერთმანეთთან შედარება.
დ) მასწავლებელი განმარტავს ზოგად ცნებას და შემდეგ განიხილავს კონკრეტულ საკითხებს.

დავალება №19

მოსწავლეებს შორის კონფლიქტი სკოლისათვის ჩვეული მოვლენაა, ამიტომ აუცილებელია, მასწავლებელი იცნობდეს მისი კონსტრუქციული მოგვარების ხერხებს. კონფლიქტის მოგვარება ორმხრივი პროცესია და მისი გამწვავების თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია, მხარეებმა გააანალიზონ როგორც საკუთარი, ისევე მოწინააღმდეგის/ოპონენტის მიზნები და ინტერესები.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება **არ** შეუწყობს ხელს კონფლიქტის კონსტრუქციულ მოგვარებას?

ა) მოწინააღმდეგის ზოგიერთი დადებითი ქმედების აღიარება.
ბ) პრობლემის ობიექტური განსჯით კონფლიქტის ძირითადი არსის წვდომა.
გ) მოწინააღმდეგის ინტერესების გამართლება და მიღება.
დ) ოპონენტების მხრიდან პოზიციების დაახლოებისათვის მზაობის გამომჟღავნება.

დავალება №20

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში – სწავლების სტრატეგიები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	**სტრატეგია (B)**
I. ისტორიის მასწავლებელმა მოუთხრო მოსწავლეებს XVIII საუკუნეში ინფორმაციის გავრცელების საშუალებებზე, შემდეგ კი სთხოვა, გაეანალიზებინათ მათი მსგავსება ინფორმაციის გავრცელების თანამედროვე საშუალებებთან.	ა) პროექტი ბ) გონებრივი იერიში გ) შედარება დ) ანალოგია
II. ფიზიკის მასწავლებელმა ხის ფესვებიდან მისი კენწეროსკენ წყლის გავრცელების მაგალითზე ახსნა კაპილარული მოვლენები.	
III. ბიოლოგიის მასწავლებელმა სპოროვანი მცენარეები ახსნა. მან მოსწავლეებს დაავალა: დაეთესათ რამდენიმე სპოროვანი მცენარე და დაკვირვებოდნენ მის ზრდას, გადაეღოთ ფოტოები და მუშაობის შედეგები (თეორიული და ფოტო მასალა) განეთავსებინათ სტენდზე.	

✍ *ჩაწერეთ:*

აქტივობა (A)	I	II	III
სტრატეგია (B)			

დავალება №21

მაქსიმალური ქულა – 4

სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად მასწავლებლები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ სქემებს. ერთ-ერთი ასეთი სქემაა ვენის დიაგრამა (იხ. ნახაზი), რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.



- მოიყვანეთ სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი.
- დაასახელეთ, მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №22

მაქსიმალური ქულა – 4

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს ყოველკვირეულ გეგმას, რომელიც ასე გამოიყურება:

სასწავლო დღიური

დღე	გაკვეთილის თემა	სახელმძღვანელო/ პარაგრაფი	დავალება/ სავარჯიშო	დავალების შესრულებაზე დახარჯული დრო
ორშაბათი				
სამშაბათი				
...				

1. შევასრულე თუ არა ყველა დავალება? —— თუ – არა, რატომ? ————————————
2. რა გავიგე კარგად? ————————————————————————————————
3. რა გამიძნელდა? ————————————————————————————————
4. რა ვერ გავიგე? ————————————————————————————————
5. რომელი მეთოდით უფრო ეფექტურად ვსწავლობ?————————————————————

მშობლის ხელმოწერა:

მოსწავლეებს ევალებათ: „სასწავლო დღიურის“ შევსება, კვირის ბოლოს თანდართულ კითხვებზე პასუხის გაცემა და მათი გაცნობა მშობლებისათვის.

- აღწერეთ ორი დადებითი შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მასწავლებლის ამგვარ მიდგომას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №23

მაქსიმალური ქულა - 3

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ერთ ნაწილს მოსწონს რთული მიზნების დასახვა და პრობლემურ ამოცანებთან შეჭიდება, მეორე ნაწილი კი ორიენტირებულია მარცხის თავიდან არიდებაზე, უფრთხის შეცდომის დაშვებასა და წარუმატებლობას, ამიტომ შედარებით ადვილად მისაღწევ მიზნებს ისახავს და მოკრძალებული შედეგითაც კმაყოფილია.

- აღწერეთ მასწავლებლის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის მიღწევის მოტივაციის ზრდას და მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალებები №24-28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ინტერნეტ სივრცეში ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელმა პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად ღია ჯგუფი შექმნეს. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, ჩაერთოს წამოჭრილ პრობლემებზე გამართულ დისკუსიაში.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი და გაიაზრეთ აღწერილი პრობლემის არსი.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული აქტივობა/სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი აქტივობის/სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. <u>სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს</u>.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

სოციალურ ქსელში განთავსებული წერილები

დავალება №24

მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება

მანანა ლორია

კლასში 30 მოსწავლე მყავს, რომლებიც ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან უნარებით, ინტერესებით, სწავლის სტილით... მინდა, სწავლის პროცესში გავითვალისწინო მათი ინდივიდუალური საჭიროებები და გაკვეთილი ამის მიხედვით ავაგო, მაგრამ ამას ხშირად ვერ ვახერხებ. პრობლემები განსაკუთრებით მაშინ მექმნება, როცა ახალ მასალაზე გადასასვლელად ვემზადები. კლასის ყველა მოსწავლე ამისთვის ერთნაირად მზად არ არის. ვიცი, რომ სუსტი მოსწავლეებისათვის ახალი მასალის მიწოდება ადრეა, მაგრამ არც ის მინდა, ძლიერი მოსწავლეები დაბრკოლდნენ.

მაინტერესებს, როგორ ახერხებთ სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას და მათ გათვალისწინებას?

მომწონს · კომენტარი · გამოწერის გაუქმება · გუშინ, 17:37-ზე

დავალება №25

გარდამავალ ასაკთან დაკავშირებული პრობლემები

Nana Beridze

წელს მეშვიდე კლასი მომცეს სადამრიგებლოდ. კლასში ერთი გოგონაა, რომელიც ყველაფრის მიმართ ინდიფერენტულია, სწავლა არ აინტერესებს, გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს, და თუ ესწრება, ფიქრებშია გართული, სადღაც სხვაგანაა. როდესაც მის ძველ მასწავლებლებს ჩემი პრობლემა გავუზიარე, გაუკვირდათ, რადგან მოსწავლე ადრე ყოველთვის კარგად სწავლობდა. ვხვდები, რომ პრობლემა მოსწავლის გარდამავალი ასაკით არის გამოწვეული და ამიტომ რადიკალურ ზომებს არ მივმართავ.

იქნებ მირჩიოთ, რა გავაკეთო, როგორ დავაინტერესო მოსწავლე სწავლით?

მომწონს · კომენტარი · გამოწერის გაუქმება · 14 მაისი, 17:19-ზე

დავალება №26

გამოკითხვის ეფექტიანი სტრატეგიები



Erekle Giorgadze

უკვე მომბეზრდა, რომ მასწავლებელი არ მაცდის კითხვაზე პასუხის გაცემას. საკმარისია, ოდნავ შევყოვნდე ან არასწორად ვუპასუხო, მეუბნება - დაჯექი, არ იცი! იქნებ, ვიცი?!... გადავწყვიტე, საერთოდ აღარ ავიწიო ხელი!

სხვა მასწავლებლებმა მაინც ურჩიეთ, როგორ უნდა გაკვეთილის გამოკითხვა, ყველა ბავშვი ერთნაირად ხომ ვერ უპასუხებს?!

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 22:45-ზე

დავალება №27

დასჯა, როგორც არაეფექტური სტრატეგია

თამარ ფორჩხიძე

ხშირად მესმის, რომ ზოგიერთი მშობელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბავშვის დასჯას სკოლაში. მე კი მასწავლებელს თავადვე ვთხოვ, მკაცრად მოექცეს ჩემს შვილს და როცა საჭიროა, დასაჯოს კიდეც - კარგად დატუქსოს... ძალადობის და ცემის წინააღმდეგი მეც ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ზედმეტი ლოიალობაც არ არის სასურველი. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში ბავშვებს მკაცრად სჯიდნენ, მაგრამ ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა - უფრო დისციპლინირებულები ვიყავით და უკეთესადაც ვსწავლობდით.

ორ საკითხთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი აზრი: (1) რატომ ითვლება, რომ დასჯა ძალიან იშვიათად ან თითქმის არ უნდა გამოიყენებოდეს და (2) დასჯის გარეშე როგორ უნდა აღმოვფხვრათ ბავშვის ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები?!

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 21:20-ზე

დავალება №28

ჯანსაღი ცხოვრების წესი

ლაშა მესხი

ჯანმრთელობა მოზარდის ჰარმონიული განვითარებისა და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანის ღირებულებად რომ იქცეს, ამაზე ოჯახი და სკოლა ერთობლივად უნდა ზრუნავდეს. მეთერთმეტე კლასს ვასწავლი და მყავს მოსწავლეები, რომლებმაც უკვე დაიწყეს თამბაქოს მოწევა. დარწმუნებული ვარ, ასეთი პრობლემების წინაშე თქვენც მდგარხართ.

რა უნდა გავაკეთოთ პედაგოგებმა, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა სრულიად შეგნებულად მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს?!

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 20:40-ზე

№24-28 დავალებებისათვის განკუთვნილ არეში **აღწერეთ მასწავლებლის ერთი *კონკრეტული* აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც იქნება წერილის ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. **დაასაბუთეთ,** რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №24

დავალება №25

დავალება №26

დავალება № 27

დავალება №28

დავალება №29

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება შეესაბამება ***ყველაზე მეტად*** სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომას?

ა) მასწავლებელი ღრმად აანალიზებს და ინტერპრეტაციას უკეთებს ფაქტებს, მოვლენებსა და ცნებებს.
ბ) ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს კითხვებზე პასუხის გაცემაში.
გ) მოსწავლე ახალ მასალას თვითონ აკავშირებს ნასწავლთან, მასწავლებელი კი არის წარმმართველი და ხელშემწყობი.
დ) მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს მოვლენების ობიექტურად და არა სუბიექტური გამოცდილების მიხედვით აღქმას.

დავალება №30

მასწავლებელმა მოსწავლეებს სადისკუსიოდ ასეთი მორალური დილემა შესთავაზა:

„წარმოიდგინეთ, რომ სკოლის ეზოში ფეხბურთს თამაშობთ. თქვენი გუნდი პარალელურ კლასს ეთამაშება და აგებს; მსაჯი აშკარად მოწინააღმდეგის მხარეზეა და მათ დარღვევებზე თვალს ხუჭავს. მაგჩის ბოლო წუთებზე თქვენი გუნდის წევრმა გადამწყვეტი გოლი გაიგანა, თუმცა, თამაშის წესი დაარღვია. მსაჯს წესის დარღვევა არ შეუნიშნავს და გოლი ჩათვალა. თქვენი გუნდის მოთამაშეებმა ერთმანეთს გადახედეს და არაფერი თქვეს.

შეაფასეთ თქვენი გუნდის მოთამაშეების საქციელი“.

ირაკლიმ ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

„– სწორად მოიქცნენ, აბა, რა?!. კარგი იყო, რომ მთელი თამაშის დროს მსაჯი სულ მათ მხარეზე იყო და ყველაფერს პაგიობდა?! იმათთვის თუ შეიძლება, ჩვენთვისაც შეიძლება!“

კოლბერგის თეორიის თანახმად, რომელ სტადიას შეესაბამება ირაკლის შეფასება.

ა) პრეკონვენციური დონის I საფეხურს
ბ) პრეკონვენციური დონის II საფეხურს
გ) კონვენციური დონის I საფეხურს
დ) კონვენციური დონის II საფეხურს

დავალება №31

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დაასახელონ ლითონის ნივთები და დაფიქრდნენ, რაგომ არ შეიძლება მათი დამზადება სხვა მასალისგან; შემდეგ კი, დასკვნის სახით ჩამოაყალიბონ ლითონის დამახასიათებელი თვისებები და დააჯგუფონ მათთვის ნაცნობი ნივთიერებები ლითონებად და არალითონებად. ამ პროცესში მოსწავლეები იგებენ, რომ ვერცხლისწყალიც ლითონია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ თეორიას შეესაბამება ***ყველაზე მეტად*** სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული მეთოდი?

ა) ოპერანტული განპირობებულობის თეორიას
ბ) სოციალური დასწავლის თეორიას
გ) აღმოჩენებით სწავლის თეორიას
დ) განწყობის თეორიას

დავალება №32

„– ხომ მართალია, რომ ბატკანი პატარა ბუჩქებს ჭამს?
– სრული სიმართლეა.
– როგორ მიხარია!
ვერ მივხვდი, რატომ უნდა ყოფილიყო ასე მნიშვნელოვანი ის, რომ ბატკანი ბუჩქებს ჭამს. მაგრამ პატარა უფლისწულმა დასძინა:

– რაკი ეგრეა, ბაობაბსაც ხომ შეჭამს?

მე ავუხსენი, რომ ბაობაბი ბუჩქი კი არა, ტაძრის ოდენა ხეა და, სპილოების მთელი ჯოგიც რომ დაასიო, ვერაფერს დააკლებს – მეთქი“.

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი „პატარა უფლისწული“

მოცემული ნაწყვეტიდან გამომდინარე, პიაჟეს თეორიის მიხედვით, კოგნიტური განვითარების რომელ სტადიას შეესაბამება ***პატარა უფლისწულის*** მსჯელობა?

ა) სენსომოტორულ სტადიას
ბ) ოპერაციამდელ სტადიას
გ) კონკრეტული ოპერაციების სტადიას
დ) ფორმალური ოპერაციების სტადიას

დავალება №33

პერკინსის აზრით, სწავლების დროს მასწავლებელი უნდა იყენებდეს „გაგების მოქმედებებს“, რათა მოსწავლემ შეძლოს მისთვის ახალ სიტუაციაში კონკრეტული ცოდნის გახსენება და გამოყენება.

ჩამოთვლილთაგან, პერკინსის აზრით, რომელი ***არ*** არის *„გაგების მოქმედება“?*

ა) კატეგორიების გამოყოფა.
ბ) თემის შინაარსის გადმოცემა.
გ) წინააღმდეგობრივი ფაქტების გამოყოფა.
დ) საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა.

დავალება №34

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება შეესაბამება *მონტესორის სკოლის* პრინციპებს?

ა) მასწავლებელი აძლევს ბავშვს დავალებას, შესრულებისთვის საჭირო მითითებებს და თვალყურს ადევნებს ამ პროცესს.
ბ) მასწავლებელი მოსწავლეთა ნამუშევრებს კლასის წინაშე აფასებს და ერთმანეთს ადარებს.
გ) მასწავლებელი აძლევს ბავშვს არჩევანის საშუალებას, არ გღუდავს დროში და წაახალისებს მის დამოუკიდებლობას.
დ) მასწავლებელი ურიგებს ბავშვებს გეგმით გათვალისწინებულ მასალებს და წარმართავს ჯგუფურ მუშაობას.

დავალება №35

კლასის ყველაზე მონდომებულ მოსწავლეებს თანაკლასელები სიბეჯითის გამო დასცინიან და მათ მიმართ აგრესიას გამოხატავენ. უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ზოგიერთი წარმატებული მოსწავლე გაკვეთილზე ცოდნის გამოვლენას თავს არიდებს.

წარმატებული მოსწავლეების ასეთ ქცევას განაპირობებს:

ა) უარყოფითი დასჯა
ბ) პოზიტიური დასჯა
გ) ქცევის უარყოფითი განმტკიცება
დ) შეუთავსებელი ქცევის განმტკიცება

დავალება №36

მასწავლებელი და მოსწავლე გლობალური დათბობის შესახებ საუბრობენ:

მოსწავლე: ტელევიზიით მომისმენია, რომ მეცნიერები მგრძნობიარე ხელსაწყოებით აღრიცხავენ კლიმატის ცვალებადობას დედამიწაზე და აფიქსირებენ რეკორდულად მაღალ ტემპერატურას, როგორიც დღემდე არასოდეს ყოფილა.

მასწავლებელი: როგორ ფიქრობ, რამდენი ხანია, რაც ასეთი ინსტრუმენტები არსებობს?

მოსწავლე: ალბათ დაახლოებით ასი წელია, XX საუკუნის დასაწყისიდან.

მასწავლებელი: უფრო სწორად, ამ პრობლემას იკვლევენ 1860 წლიდან. მოდი, დავაზუსტოთ, დანამდვილებით რისი თქმა შეგვიძლია გლობალური დათბობის შესახებ?

მოსწავლე: ესე იგი, მხოლოდ იმის, რომ XXI საუკუნის დასაწყისში ტემპერატურა გაცილებით მაღალია, ვიდრე საუკუნე-ნახევრის წინ იყო.

ჩამოთვლილთაგან რომელ თეორიას ეფუძნება სწავლების ამგვარი მეთოდი?

ა) პერკინსის „თეორია ერთს“
ბ) როჯერსის ჰუმანისტურ თეორიას
გ) ბანდურას სოციალური დასწავლის თეორიას
დ) სკინერის ოპერანტული განპირობებულობის თეორიას

დავალება №37

სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ გამოთქმული რომელი დებულება ასახავს უზნაძის თეორიის არსს?

ა) სასწავლო მასალა ამომწურავად უნდა იყოს მიწოდებული მასწავლებლის მიერ.
ბ) ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სასწავლო გარემოსა და დიდაქტიკურ მასალებზე.
გ) მასალა მიწოდებული უნდა იყოს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონის შესაბამისად.
დ) სასწავლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს სწავლის აქტიურ, ქმედით მოთხოვნილებად გარდაქმნაზე.

დავალება №38

მასწავლებელმა შეამჩნია, რომ მოსწავლე სწორად ხსნის საკმაოდ რთულ გეომეტრიულ ამოცანებს, როცა მათ ნახაზიც დაერთვის, სხვა შემთხვევაში კი შეცდომებს უშვებს.

პიაჟეს თეორიის თანახმად, ***უფრო მეტად*** ამგვარი შეცდომების დაშვების მიზეზია ის, რომ ბავშვს ნაკლებად აქვს განვითარებული:

ა) აღსაქმელ ასპექტზე ცენტრაციის უნარი.
ბ) აბსტრაქტულად აზროვნების უნარი.
გ) სიმბოლური აზროვნების უნარი.
დ) ტრანზიტულობის უნარი.

დავალება №39

ცხრილის A სვეტში აღწერილია მოსწავლის ქცევა, ხოლო B სვეტში მოცემულია მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლოა იყოს ამ ქცევის მოტივი. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორიის მიხედვით.

ქცევა (A)	მოთხოვნილება (B)
I. მოსწავლე თავს იკავებს, უპასუხოს იმ კითხვას, რომელსაც ვერავინ პასუხობს, რადგან არ უნდა, რომ ყველასგან გამორჩეული იყოს.	ა) ფიზიოლოგიური ბ) უსაფრთხოების გ) სიყვარულისა და მიკუთვნებულობის დ) დაფასების ე) თვითრეალიზაციის
II. მოსწავლე ყველა საგანს ბეჯითად მეცადინეობს და მაღალ ნიშნებსაც იღებს, რათა თავიდან აიცილოს მასწავლებლისა და მშობლების გაბრაზება.	
III. მოსწავლეები პროექტის მომზადებას ისეთი ინტერესით მოეკიდნენ, დაუღალავად იშრომეს და წარმატებით დაასრულეს, რომ სხვა საგნებისათვის დრო ვეღარ მოიტოვეს.	

✍ *ჩაწერეთ:*

ქცევა (A)	I	II	III
მოთხოვნილება (B)			

დავალება №40

მაქსიმალური ქულა – 3

მოსწავლე ავადმყოფობის შემდეგ პირველად წავიდა სკოლაში. პირველივე გაკვეთილზე მასწავლებელმა კლასში დამოუკიდებელი სამუშაო ჩაატარა. მოსწავლემ სამუშაოს შესრულება კლასთან ერთად დაიწყო, მაგრამ მალევე შეწყვიტა. მასწავლებელი მიხვდა, რომ იგი გაცდენების გამო თანაკლასელებს ჩამორჩა და სამუშაოს თავს ვეღარ ართმევს.

- გააანალიზეთ მოსწავლის პრობლემა **ვიგოტსკის თეორიაზე** დაყრდნობით.
- აღწერეთ აქტივობა, რომელიც, **ვიგოტსკის თეორიის** თანახმად, უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

✍ ჩაწერეთ:

ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ სიტუაციებს და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.**

დავალებები №41- 45 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

გიორგი მე-12 კლასშია. იგი ხშირად ჩხუბობს სკოლაში თუ სკოლის გარეთ. მას, სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესის თანახმად, უკვე აქვს მიღებული მკაცრი გაფრთხილება; მიუხედავად ამისა, სპორტის გაკვეთილზე, რომელიც სკოლის ტერიტორიის გარეთ, რაგბის მოედანზე ტარდება ხოლმე, მან კვლავ იჩხუბა. აღნიშნული ინციდენტის გამო დისციპლინურმა კომიტეტმა მოსწავლისათვის ყოველგვარი განმარტების გარეშე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, მისი სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო. გიორგიმ პროტესტი გამოთქვა ამ გადაწყვეტილების გამო, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ სკოლას არ ჰქონდა დამამთავრებელ კლასში მისი გარიცხვის უფლება. მშობლები შიშობდნენ, რომ გარიცხულ მოსწავლეს სხვა სკოლა არ მიიღებდა, ამიტომ მოსწავლემ კატეგორიულად მოითხოვა საბჭოს ხელმეორედ მოწვევა და მშობელთან ერთად სხდომაზე დასწრება.

41. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოცემულ სიტუაციაში, დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის დისციპლინური დევნა სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩადენილი ქმედებისათვის.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

42. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მხოლოდ დისციპლინურ კომიტეტს აქვს უფლება, მიიღოს მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

43. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოცემულ სიტუაციაში, მოსწავლის პროტესტი მისი სკოლიდან გარიცხვის თაობაზე სამართლიანია.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

44. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეს, რომელიც დამამთავრებელ კლასშია, უფლება აქვს, სხვა სკოლაში განაგრძოს სწავლა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

45. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოსწავლეს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას, მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად დაესწროს დისციპლინური კომიტეტის სხდომას.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დავალებები №46- 50 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ნინო ერთ-ერთ საჯარო სკოლაში VII კლასს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. იგი ცდილობს, სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს მოსწავლეებისათვის, ამიტომ სწავლების დროს დამატებით იყენებს არაგრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და სხვა სასწავლო მასალას; ხშირად სთხოვს მშობლებს შეიძინონ სხვადასხვა სახის წიგნები და სამუშაო რვეულები. მოსწავლეებს მოსწონთ ასეთი გაკვეთილები, ყველა აქტივობაში ხალისით ერთვებიან, თუმცა, ნინო ხშირად ვერ ასწრებს მათ გაძახებას და ქულებით შეფასებას. როდესაც ნინომ წლიური ქულის გამოთვლა დაიწყო, იგი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მოსწავლეებს აკლდათ შეფასება ზოგიერთი კომპონენტის მიხედვით და გადაწყვიტა, გამოცდა დაენიშნა. მან მოსწავლეები გააფრთხილა, რომ წლიურ შეფასებას გამოცდის შედეგის მიხედვით განსაზღვრავდა და სემესტრის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე გამოუცხადა წლიური გამოცდის ჩატარების თარიღი. ნინომ გამოცდა სემესტრის ბოლო გაკვეთილზე ჩაატარა და მისი შედეგების საფუძველზე დაწერა საგნის წლიური ქულა.

46. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლების პროცესში დამატებით გამოიყენოს არაგრიფირებული სახელმძღვანელოები/სხვა სასწავლო მასალა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

47. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მასწავლებელს არ აქვს უფლება, მოსთხოვოს მშობლებს სწავლების პროცესის მრავალფეროვნებისათვის საჭირო არაგრიფირებული სახელმძღვანელოების შეძენა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

48. მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მასწავლებელს არ ჰქონდა წლიური გამოცდის ჩატარების უფლება.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

49. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დასაშვებია საგნის წლიური ქულის განსაზღვრა მხოლოდ სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდის ნიშნით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

50. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, დასაშვებია, წლიური გამოცდა დაინიშნოს სასწავლო სემესტრის ბოლო კვირას.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

პროფესიული უნარები

დავალება №	გასაღები
1	ბ
2	დ
3	დ
4	დ
5	დ
6	ა
7	ბ
8	გ
9	ბ
10	ა
11	ბ
12	გ
13	ბ
14	გ
15	ბ
16	გ
17	ა
18	ა
19	გ

დავალება №20

მაქსიმალური ქულა – 1

შეფასების სქემა

1 ქულა	თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით: <table><tr><td>აქტივობა (A)</td><td>I</td><td>II</td><td>III</td></tr><tr><td>სტრატეგია (B)</td><td>ბ</td><td>დ</td><td>ა</td></tr></table>
0 ქულა	ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი

დავალება №	გასაღები
29	გ
30	ბ
31	გ
32	ბ
33	ბ
34	გ
35	გ
36	ა
37	დ
38	ბ

დავალება №39

მაქსიმალური ქულა – 1

შეფასების სქემა

1 ქულა	თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:
0 ქულა	ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი

ქცევა (A)	I	II	III
მოთხოვნილება (B)	გ	ბ	ე

ღიადაბოლოებიანი დავალებების (№№21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 40) შეფასების ზოგადი კრიტერიუმები:

- იმისათვის, რომ აპლიკანტის პასუხი სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის:

  (1) უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული.

  (2) არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

  (3) შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

თუ რომელიმე პირობა არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.

- **4-ქულიანი ღია დავალებები შემდეგი ზოგადი რუბრიკის საფუძველზე სწორდება:**

ქულა	აღწერა
4	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას).
3	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული - რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი შედარებით სქემატურია
2	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა. მსჯელობა არ არის სრული. აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი ან ზოგადად პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური.
1	პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის ზედაპირული ცოდნა. პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას / აკლია დავალების პირობის ერთზე მეტი კომპონენტი ან პასუხი ნაწილობრივ სწორია. აპლიკანტი სქემატურად უპასუხებს მხოლოდ რომელიმე ერთ მითითებას.

0	პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

➘ **3-ქულიანი ღია დავალებები შემდეგი ზოგადი რუბრიკის საფუძველზე სწორდება:**

ქულა	აღწერა
3	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას (მითითებას).
2	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული. აკლია დავალების პირობის ერთი რომელიმე კომპონენტი ან ზოგადად პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური. აკლია სიცხადე.
1	პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა. პასუხი ნაწილობრივ სცდება დასმულ პრობლემას ან აპლიკანტი სქემატურად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ კომპონენტს
0	პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

დავალება №41-45

მაქსიმალური ქულა – 5

- დავალება **№42, №44 და №45 – თითო-თითო ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია“** – (კომენტარს არ საჭიროებს).
- დავალება **№41 და №43 – თითო-თითო ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია”** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მითითებული აქვს კორექტული პასუხი, მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით.

დავალება №46-50

მაქსიმალური ქულა – 5

- დავალება **№46, №47 და №48 – თითო-თითო ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„ჭეშმარიტია“** – (კომენტარს არ საჭიროებს).
- დავალება **№49 და №50 – თითო-თითო ქულა** იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნულია პასუხი – **„მცდარია“** და აპლიკანტს შესაბამის გრაფაში მითითებული აქვს კორექტული პასუხი, მცდარი პასუხი ჩაწერილი აქვს სწორი ფორმით.